ცნობის ფურცელი

№ 2354 სამშაბათი, 16 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2354

ფასი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ.,	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ.,
1 თვით—50 კაპ.	1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ. დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარეთ
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ.,	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ.,
3 თვით—3 მან.	3 თვით—5 მან.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა 3 თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ,** რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, ამზადებს მოსწავლეთ საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—22)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღაამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ.. საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვწაძისა.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების ნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12 მდე სმღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—27)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერო, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა“** („Воскресеніе“).

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія“. (3—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 16 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

კ ა მ ო რ რ ა

ოპერა 4 მოქმ. ესპოზიტოსი.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: არციბაშევა, კარრი, სელიუკ; ბ-ნნი: დარსკი, სელიავინი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, თულაევი, სანგურსკი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: 17 დეკ.—„ოტელლო“; 18 დეკ. წარმ. არ იქნება, 19 დეკ.—„მაზეპა“. (6.)

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის უმთავრეს სამხედრო შტაბის სადგომში მოხდება

ჩვეულებრივი კრება

რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1) განყოფილების ნამდვილის წევრის ა. ა. არაქელიანის მოხსენება ქურთების შესახებ; 2) ნამდვილ წევრთა არჩევნები. სხდომაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ უფასოდ. (უ. 2—1)

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

სახალხო კალენდარი

მ. გაჩეჩილაძისა 1904 წ.

კალენდარი შეიცავს 232 გვ. მოთავსებულია შიგ 9 სურათი და ღირს მხოლოდ ორ შაურად. ვინც ას წ., იყიდის, მანეთზედ 40 /o ეთმობა, კომისიით-კი 20°/-o ფოსტისა დრესი: Квирилы, типографія Гачечиладзе. (5—4)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევის 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

„მოამბის“ რედაქციისაგან

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე ნომრების დაგვიანებისათვისს. ნოემბრის და დეკემბრის ნომრებიც მოკლე ხანში გამოვა.

ამასთანავე რედაქცია სიამოვნებით აცხადებს, რომ დღეიდან ბევრმა აღუთქვა ჟურნალში თანამშრომლობა.

22 დეკემბერს 1903 წ. **ტფილისის საკრებულოს დარბაზში** გაიმართება **„წერა-კითხვის საზოგადოების“** სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: თულაშვილისა და ჩემესოვისა, ბ-ნნი: ვილშაუ, ევლახიშვილი, პოლივკა და სხ.

და **სიმღერის მოყვარულთა გუნდი და ორკესტრი**

ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ხორო და ორკესტრი შეასრულებს ა. რუბინშტეინის სასულიერო ორატორიიდან „ბაბილონის გოდოლის შენება“-ს, ქართლურს, იმერულს, გურულს და სვანურს სიმღერებს და მარშს „აღსდეგ, გმირთ-გმირო!“.

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული დ ევროპიული ცეკვა. ბილეთები იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა). (5—უ.—2)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11 12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ტიანძინიდან დეპეშით ატყობინებენ რეიტერის სააგენტოს: „6 დეკემბერი. მცოდნე კაცებისაგან შევიტყეთ, რომ იაპონიამ ულტიმატუმი გაუგზავნა რუსეთს“.

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს ცნობა მოჰსვლია ნაგასაკიდან: იაპონიის სათადარიგო ჯარის-კაცებს ბრძანება მოუვიდათ, მზად იყავით, იქნება მალე ჯარში დაგიბაროთო.

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ ატყობინებენ პორტსმუტიდან (ინგლისიდან): სწრაფლ-მავალი კრეისერი „კინგ ალფრედი“ („მეფე ალფრედი“) აქედან შორეულ-აღმოსავლეთს წავიდა.

„დეილი მეილ“-ს სწერენ ტიანძინიდან: თუ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდათ, ჩინეთის ჯარი იაპონიას გაუწევს დახმარებასაო. რუსეთი და იაპონია ორივე საომრად ემზადებიან. ხმა დადის, იაპონიის ჯავშნიანი გემები პორტ-არტურს ახლო იყრიან თავსაო. იაპონიის მთავრობამ შანჰაიში კიდევ 10 გემი დაიქირავა ჯარების გადასაყვანად, რუსეთის აგენტებიც დიდძალს ცხენს ჰყიდულობენ მონგოლიაში.

იგივე გაზეთი იუწყება: იაპონიის საელჩოს ერთმა წევრმა ლონდონში სთქვა: შორეულ-აღმოსავლეთის საქმე მეტად გამწვავდა, რადგან იაპონია თავის კანონიერ მოთხოვნილებაზე ხელს არ აიღებსო.

„ტაიმს“-ი ამტკიცებს: ის ცნობა, ვითომ იაპონია ფულის სესხებას ცდილობდა ამერიკაში, ნამდვილი ტყუილიაო. „ამომავალ მზის ქვეყანას“ ფულის სესხება არ სჭირია, რადგან ფინანსები მშვენიერ მდგომარეობაში აქვსო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იწერება: ინგლისი თავის ფლოტს ვეიჰაივეიში ჰკრებსო. რუსეთმა და იაპონიამ ინგლისის ქარხნებს კარგა ბლომად სადოსტაქრო ინსტრუმენტები შეუკვეთესო.

„ლაფანის სააგენტოს“ სწერენ პეკინიდან: ჩინეთის მთავრობას დეპეშა მოუვიდა თავის ელჩისაგან ტოკიოდან: მოკლე ხანში უსათუოდ ომი მოხდებაო. ინგლისისა და იაპონიის ელჩებმაც პეკინში სთქვეს, საქმე ისე მიდის, რომ შეიძლება ომი მოხდესო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: თუმცა იაპონიის პასუხი მეტად მეგობრულ კილოზეა დაწერილი, მაგრამ მაინც პასუხში გადაჭრითაა ნათქვამი, რუსეთმა ამა და ამ ვადაზე უნდა გამოაცხადოს იაპონიის წინადადებას სთანხმდება, თუ არაო.

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ ატყობინებენ ნიუ-იორკიდან: ფილიპის კუნძულების გუბერნატორი, შეერთებულ შტატების მომავალი სამხედრო მინისტრი ტაფტი სამშობლოში ბრუნდება. ტაფტი იაპონიაზე გაივლის, მიკადოსა ჰნახავს და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე მოელაპარაკება.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: „6 ინგლისელი ოფიცერი მომავალ კვირას იაპონიაში მიდის იაპონურ ენის შესასწავლად. რამდენისამე დღის წინად იაპონიაში ინგლისელი ინჟენერი, პოლკოვნიკი ბანერმანი წავიდა და თუ რუსეთ-იაპონიის ომი მოხდა, ბრძოლის ველზე ინგლისის სამხედრო წარმომადგენლად იქნება იაპონიის მთავრობასთან.

ამავე დროს გაზეთებს დამამშვიდებელი ცნობებიც მოსდით. ასე, ინგლისურ გაზ. „სტანდარდ“-ს რომიდან ცნობა მოჰსვლია: რუსეთ-იაპონიის უთანხმოება მარტამდე, ესე იგი იაპონიის საზოგადო არჩევნამდე, მორიგებით გადასწყდებაო.

ფრანგულ გაზ. „ტან“-ს ამნაირი კერძო დეპეშა მიუღია ლონდონიდან: სარწმუნოდ შევიტყეთ, რომ ეხლა ომის შიში აღარაა. პირიქით, რუსეთი და იაპონია მალე მორიგდებიან. რუსეთსა და იაპონიას მხოლოდ წვრილმან საქმეებზე-ღა მოსდით უთანხმოება. იმედია, მალე სავსებით მორიგდებიანო.

რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება

ამ მოლაპარაკების თაობაზე გერმანულ ოფიციოზურ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ის პეტერბურგელ კორესპონდენტს შემდეგი ცნობები შეუტყვია:

„ტოკიოს მთავრობამ მოსთხოვა რუსეთს, იაპონიას პროტექტორატის უფლება უნდა მიეცეს კორეიაზე, სადაც ამას იქით მხოლოდ იაპონიას უნდა ჰქონდეს გავლენაო. იაპონია კიდევ რუსეთ-კორეის სავაჭრო ხელ-შეკრულობას აღიარებს, აგრეთვე აღიარებს ყველა სავაჭრო უფლებასა და უპირატესობას, რასაც იაპონია, ან მარტო თითონ, ან კორეის თანხმობით სხვა სახელმწიფოებს მისცემს კორეიაში. თავისთავის კი იაპონია პოლიტიკურსა და სავაჭრო-სამრეწ-

ველი საქმეებში სრულს თავისუფლებას ითხოვს კორეის ნახევარ-კუნძულზე.

აი, ასეთია იაპონიის მოთხოვნილება. რუსეთმა კიდევ აი რა მოითხოვა: მოზამპოსა და მოკპოში საზღვაო სადგურების გამართვის უფლება მქონდესო. ამას გარდა რუსეთი კორეიაში ვაჭრობის უფლებასაც თხოულობს. თუ იაპონია ამ პირობებს დასთანხმდება, რუსეთიც იაპონიის პროტექტორატს აღიარებს კორეიაზეო. იაპონიამ ეს პირობა გადაჭრით უარ-ჰყო და ამასთანავე კორეიაში ვაჭრობის თაობაზე ახალი პირობა წარუდგინა რუსეთს.

რუსეთმა თავის პასუხში ბეჯითად მოითხოვა, კორეიაში ვაჭრობის სრული უფლება მქონდეს და ნავთ-სადგური მოზამპო სამუდამოდ დამეთმოს, რომ ვლადივასტოკ-პორტ-არტურის გზის დაცვა და ჯარების გადაყვან-გადმოყვანა შემეძლოსო.

სწორედ ამ დროს შორეულ აღმოსავლეთის მთავარ-მართებელმა ადმირალმა ალექსეევმა აცნობა პეტერბურგის მთავრობას, არ შეიძლება, რომ იაპონიას კორეიაზე პროტექტორატის უფლება მიეცესო. მოლაპარაკება მაინც დღესაც სწარმოებს და ჯერ კიდევ მთლად არ დაკარგულა იმედი, რომ საქმე მშვიდობიანად გადასწყდეს“.

იაპონიის მზადება საომრად

შორეულ-აღმოსავლეთიდან დაბრუნებული ფრანგულ გაზ. „ბიულეტენ დიუ კომიტე დე ლაზი ფრანსეზ“-ის თანამშრომელი ოკაბე, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს იაპონიის სამხედრო მზადებაზე:

„იაპონიამ ყველაზე მეტი ყურადღება კორეიის ზღვის ნაპირას მდებარე ცუსიმას კუნძულების გამაგრებას მიაქცია. იაპონიის ფლოტი რომ ტაკებიკის ნავთ-სადგურს შეეფაროს, ადვილად შეუძლიან რუსეთის ფლოტს პორტ-არტურსა და ვლადივასტოკს შუა გზა შეუკრას. ამიტომ ადვილად მოსალოდნელია, რომ რუსეთის ფლოტი პეჩილიის ყურეში მეტად გაჭირვებულ ყოფაში ჩავარდეს: ვლადივასტოკისა და კორეის სამხრეთ ნაპირების დაცვა იაპონიის წინააღმდეგ მეტად გაუძნელდება. იაპონელებმა თავიანთ კუნძულების ნაპირებიც გაამაგრეს, რომ რუსეთმა ჯარი არ გადაიყვანოს იაპონიაში. ზღვის ნაპირებზე იაპონელებმა სიმაგრეები ააშენეს ორ მწკრივად და შიგ შორს მსროლელი ზარბაზნები დააწყეს“. დასასრულ ოკაბე დაწვრილებით ასწერს იაპონიის ფლოტსა, ზარბაზნებისა და თოფის წამლის ქარხნებს, ვერფებს, არსენალებს, სამხედრო სასწავლებლებს და სხვ. ოკაბე ამბობს, იაპონია მეტად ბეჯითად ემზადება საომრადაო.

ჩინეთი საომრად ემზადება

რუსული გაზეთები იუწყებიან, ჩინეთი ბეჯითად ემზადება საომრადაო. ყველაზე ბეჯითად კი მეფის მოადგილე იუანშიკაი და სამხედრო გუბერნატორი გენერალი მა ამზადებენ ჯარსაო. მომავალ წლიდან პეჩილიის პროვინციაში უნტერ-ოფიცრებისა და ცალკე კიდევ ოფიცრების სკოლის გახსნას აპირებენ. ამას გარდა საყოველთაო სამხედრო ბევრის დაწესებას აპირებენ. პირველად გამოსაცდელად ამ ბეგარას პეჩილიის პროვინციაში შემოიღებენ. იუანშიკაის ანგარიშით, სამის წლის განმავლობაში 130 ბატალიონი შესდგება. ახალ იარაღისა და სამხედრო სურსათის საყიდლად განსაკუთრებული გადასახადი იქნება დაწესებული.

ჩინეთის ხალხი ამ ჟამად მეტად აღელვებულია და მტრულის თვალით უყურებს რუსეთს. სარწმუნო ცნობა მოვიდა, ტუნფუსიანი და იმისი აგენტები მონგოლიაში ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აღელვებენო. ჩინურ გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან: პეკინ-კალგანის რკინის გზის გამყვან რუსებს ჩინელები ათას შეწუხებას აყენებენო. მანჯურიაში ხუნხუზების რაზმები თან და თან მრავლდებიან და ძლიერდებიან. მანჯურიაში მართალია ცოტა ჯარი ჰყავს ჩინეთს, მაგრამ ამ ჯარის უფროსები ყოველ კარგის თბილის დღით სარგებლობენ და ჯარს ბეჯითად წვრთნიან. მანჯურიაში მრავალი ჩინელი ოფიცერი მოდის, უმაღლეს სკოლებში კურსდამთავრებული. ხმა დადის, ჩინელებმა წარსულ ომის დროს ბევრი ზარბაზანი ჩაფლეს მიწაში და ეხლა, თუ რუსეთთან ომი მოხდა, ისევ ამოიღებენ და რუსეთის წინააღმდეგ მოიხმარებენო. იაპონელებსაც არა სძინავთ და, რაც კი შეუძლიანთ, ჩინელებს რუსეთის წინააღმდეგ აღელვებენო. რკინის გზებზე, თუ კვანტუნსა, მუკდენსა და ინკოუში დიდძალ იაპონელსა შეჰხვდება კაცი.

ახალი ამბავი

◆ ამას წინად მოხდა შეერთებული კრება ტფილისის საბჭოს საფინანსო და ქალაქის მიწების საქმეთა გამგე კომისიებისა იმ ადგილის დასაფასებლად ავლაბარში, რომელიც **ქალაქს ჩამოერთვა** სამხედრო უწყებისათვის გადასაცემად. ამ ადგილში გაიმართება სავარჯიშო ჯარისათვის. ადგილი ზომით 487 დესეტინა იქმნება. ეს ადგილები კარგი სათიბებია და ქალაქს კარგი შემოსავალიცა ჰქონდა,—9000 მანეთამდე. ეს ადგილები ამ ჟამად ღირს—225,000 მანეთამდე. შესაძლებელია ფასმა აიწიოს, რადგან განაპირა ადგილებში ამ ჟამად ხალხი სახლდება. შეერთებულმა კრებამ ამ ცნობების მიხედვით ეხლანდელ პირობებში ადგილის ღირებულობა აღნიშნა არა ნაკლებ 225,000 მანეთად, ხოლო თუ პირობები შეიცვლება და ხალხი იქით დასასახლებლად გაიწევს, მაშინ ეს ადგილი არა ნაკლებ ერთის მილიონისა ეღირება.

◆ 13 დეკემბერს ტფილისის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მომკირწყლელმა კომისიამ განიხილა მოხსენება ბელგიის უსახელო საზოგადოებისა, რომელმაც ამას წინად სთხოვა ქალაქის გამგეობას ნება მისცეს რკინის გზის **ლიანდაგი მოჰკირწლოს** რუმინიის გრანიტით. კომისიამ შეიმუშავა ზომა ოთხკუთხ გრანიტისა მოსაკირწლავად და დაავალა თავმჯდომარეს შეიტყოს პირობები სხვა ფირმებისაც.

◆ უგანათ. კნ. გრუზინსკის მეთაურობით თავ. ქობულაშვილის სახლში გამართულ ბალიდან **ქართულ-დრამატიულ საზოგადოების** სასარგებლოდ შემოსულა 1500 მან.

◆ ტფილისის გუბერნიის **ჟანდარმთა** გამგეობის უფროსმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, მოუმატოს ჯამაგირი იმ 22 ჟანდარმს, რომელნიც ქალაქის ხარჯით ინახებიან. ჟანდარმთა უფროსი სთხოვს, თითოეულ ჟანდარმს 1904 წლიდან სადგომისათვის 8 მ. ნაცვლად მიეცეს 15 მან. თუ გამგეობა ვერ მოუმატებს ჟანდარმებს ქირას, მაშინ გამგეობამ თვით უშოვნოს სადგომი.

◆ ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, მისცეს საზოგადოებას **კუპონები** იმ 56,000 მანეთის სახელმწიფო 4% რენტისა, რომელიც საზოგადოებამ წარუდგინა გირაოდ ხელ-შეკრულობის დროს.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული რომ სარევიზიო კომისიამ უეცრად რევიზია მოახდინა ტფილისის მოქალაქეთა კასისა. კასას აკლია 237 მანეთამდე. კომისიის გამოკითხვაზე, თუ რა იქნა ეს ფული, ხარჯის ამკრებ მამასახლისმა ხოსროევმა განაცხადა, ეს ფული მოურავს ბუღდანოვს უნდა ჰქონდეს, რადგან 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე, როცა მე სამსახურისაგან განთავისუფლებული ვიყავ, კასის საქმეებს ის აწარმოებდაო.

◆ სოფელ წილკნიდან გვწერენ: ძმათა ანდრიაშვილების ბზით სავსე საბძელს 9 დეკემბერს ცეცხლი გაუჩნდა და მთლად გადაიწვა. თივა, რომელიც საბძელს წინ სათივეზე იდგა, 12 ურემი, თუ გადაარჩინეს რამე, ისიც გამოუსადეგარი და გაფუჭებულია. ბოროტგანმზრახველნი ჯერ ჯერობით ვერ უპოვნიათ. ამ გვარი უბედურება პირველი არ არის ამ სოფელში, მაგრამ მაინც ყურადღებას არავინ აქცევს. ზარალი 600 მანეთამდისაა. ეხლა ეს გლეხები დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, რადგან საქონელი ბევრი ჰყავთ და ზამთარში რით გამოჰკვებონ, არ იციან.

◆ გუშინ, 15 დეკემბერს, ტფილისის დედათა საპროფესიონალო სასწავლებლის დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას გადასდოს 285 მან. 5 საკერავ მაშინას შესაძენად.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 14 დეკემბერს. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე კანდიდატებად არჩეულ იქმნენ თავ. დ. ო. ნიჟარაძე და თავ. ს. დ. წერეთელი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

11 დეკემბერს

11 დეკემბერს, წინა დღის ოქმის დამტკიცების შემდეგ, თავმჯდომარემ თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მოახსენა საზოგადოებას 79 ქვეითი გურინსკი რაზმის ცნობა შესახებ იმისა, რომ 1904 წელში სრულდება 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც მდ. ჩოლოქთან და ნიგოითის მთებში მოხდა ბრძოლა თათრებთან, სადაც ქართველმა თავად-აზნაურობამ თავი ისახელა მტერთან ომში და სძლია მას. თუმცა ამ ომმა ბევრი გამოჩენილი თავად-აზნაური იმსხვერპლა; რაზმის უფროსი სთხოვს თავად-აზნაურთა კრებას, რომ პატივი სცენ ამ ომში გარდაცვალებულთა ხსოვნას და იმ ადგილს, სადაც ისინი დაიხოცნენ, დადგან ძეგლი. თავად-აზნაურობამ დაადგინა: ეთხოვოს ქუთაისის სათავად-მამულო ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებას, გადასდოს რამდენიმე ფული ხსენებულს ომში გარდაცვალებულთა სახსოვრად ძეგლის ასაგებად, ხოლო თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლს დაავალა: რომ მან ძეგლზე წარწერის შესადგენად თავის შეხედულებით მოიწვიოს საჭირო პირნი.

კრებას მოხსენდა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატის ს. თ. ხუნდაძის განცხადება, რომელიც შეეხება თავად-აზნაურთაგან ცნობების მიღებას, რომ ესა თუ ეს პირი პასუხის გებაში არ ყოფილა და შესაძლებელია მისი შერიცხვა თავად-აზნაურთა გვარში. კრებამ მიიღო ბ-ნ ხუნდაძის წინადადება.

შემდეგ წაკითხულ იქმნა საზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის მოხსენება შესახებ იმისა, რომ საზნაურო სკოლა გადატანილ იქმნას თავად-აზნაურობის სახელზე და იმავე დროს აღძრულ იქმნას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე სასწავლებელში უფროს კლასების გახსნის ნებართვის შესახებ. კრებამ ერთხმად მიიღო სამზრუნველო კომიტეტის მოხსენება და, თანახმად გ. დ. ქორქაშვილის წინადადებისა, დაადგინა მადლობა გამოეცხადოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჩვენი სკოლის ამდენი ხნის განმავლობაში გამგეობისათვის.

გ. დ. ქორქაშვილი გაახსენებს კრებას, რომ ამ წლის მაისის კრებაზე თავად-აზნაურობამ დაადგინა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ, მაგრამ მაშინ არ იყო ამორჩეული არც კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წერილი ერობის შემოღების შესახებ, და არც საშუამდგომლოდ გასაგზავნი დეპუტაციაო. ამიტომ ის საჭიროდ ნახულობს არჩეულ იქმნეს ერთიც და მეორეც. კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ ქორქაშვილის წინადადება და მიანდო გ. ფ. ზდანოვიჩს, ს. თ. ნანეიშვილს და დ. ბ. ხელთუფლიშვილს ორი თვის განმავლობაში დღეიდან შეასწორონ და შეავსონ 1897 წელში შედგენილი წერილი ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების საჭიროების შესახებ.

ბოლოს თავ. ერ. გ. გელოვანის განცხადებით კრებამ დაადგინა აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რომ სამეგრელოს ის თავად-აზნაურნი, რომელთა საქმეები თავად-აზნაურობის ღირსების შესახებ შეჩერებულია, სარგებლობდნენ იმ უფლებით, რომლითაც 1901 წლის კანონის გამოცემამდის სარგებლობდნენ და გარდა ამისა—რომ დაუჩქარონ თავად-აზნაურთა საქმეების განხილვას.

12 დეკემბერს

12 დეკემბერს, ზოგიერთ პირთაგან ფიცის მიღების შემდეგ, თავად-აზნაურობამ მოისმინა სამადლობელი დეპეშები მისის უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძისა და კავკასიის მთავარ-მართებლისა. ამას მოჰყვა არჩევნები.

ქუთაისის მაზრაში წინამძღოლის თანამდებობაზე კენჭი იყარეს: თავ. თავ. ო. ნიჟარაძემ, რომელმაც მიიღო 92 თეთრი და 10 შავი; თავ. ალ. გ. წულუკიძემ—51 თეთრი და 52 შავი; თავ. კონ. მიქელაძემ—59 თეთრი და 43 შავი. წინამძღოლის თანაშემწის ადგილზედ ყუთი დაიდგა თავ. ნიკ. კონ. ნიჟარაძემ, რომელმაც მიიღო 77 თეთრი და 26 შავი კენჭი და ალ. გ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც მიიღო 50 თეთრი და 53 შავი. დეპუტატის წევრად ქუთაისის მაზრაში ერთხმად არჩეულ იქმნა მაზრის წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე.

ოზურგეთის მაზრაში წინამძღოლის თანამდებობაზე ყუთი დაიდგეს თავ. გ. დ. ერისთავმა, რომელმაც მიიღო 39 თეთრი და 9 შავი და თავ. ვ. დ. გურიელმა, რომელმაც მიიღო 25 თეთრი და 23 შავი; წინამძღოლის თანაშემწედ კენჭი იყარეს: ი. ნ. გოგიტიძემ, რომელმაც მიიღო 35 თეთრი და 13 შავი; ნ. კ. თაყაიშვილმა—19 თეთრი და 29 შავი; ნ. ს. თაყაიშვილმა—25 თეთრი და 22 შავი; თავ. ი. მ. ნაკაშიძემ—35 თეთრი და 12 შავი. დეპუტატებად კენჭი იყარეს ს. თ. ხუნდაძემ და თავ. ტ. დ. გურიელმა პირველმა მიიღო 44 თეთრი და 4 შავი, მეორემ 37 თეთრი და 12 შავი. ოზურგეთის მაზრის დეპუტატის წევრად ერთხმად ამორჩეულ იქმნა პოლკოვნიკი თავ. ივ. ა. ნაკაშიძე.

რაჭის მაზრიდან გამოცხადდა მხოლოდ 10 ამომრჩეველთაგანი; ამიტომ თავმჯდომარის წინადადებით შეერთდნენ რაჭისა და ლეჩხუმის თავად-აზნაურნი და ისე ამოირჩიეს რაჭის წინამძღოლი და სხვა თანამდებობის პირნი. წინამძღოლის ადგილზე კენჭი იყარეს: ეხლანდელმა წინამძღოლმა თავ. დ. ა. ყიფიანმა და თავ. ი. მ. წულუკიძემ. პირველმა მიიღო 23 თეთრი და 15 შავი, მეორემ კი 27 თეთრი და 10 შავი. რაჭის მაზრიდან დეპუტატის წევრად ერთხმად არჩეულ იქმნა ს. დ. ჯაფარიძე.

ლეჩხუმის მაზრაში წინამძღოლის თანამდებობაზე კენჭი იყარეს: თავ. ი. დ. გელოვანმა—ეხლანდელმა წინამძღოლმა—და თავ. გ. ო. გარდაფხაძემ; პირველი არჩეულ იქმნა 15 ხმის უმეტესობით 2-ის წინააღმდეგ და მეორე 12 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 7-ისა. დეპუტატის წევრად ლეჩხუმის მაზრიდან ერთხმად აირჩიეს თავ. ა. გ. გელოვანი.

გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევა გადაიდვა 13 დეკემბრისთვის.

13 დეკემბერი

13 დეკემბერს თავად-აზნაურთა სხდომის გახსნის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა საზოგადოებას, დეპუტატის იმ შვიდ წევრთაგან, რომელნიც მაზრებში ამოირჩიეს, არჩეულ იქმნას მხოლოდ სამი კაცი, რადგან მეტი არაა საჭიროო. ს. დ. ჯაფარიძემ უარი განაცხადა დეპუტატის წევრობაზე. კრებამ ერთხმად აირჩია პოლკოვნიკი თავ. ივ. ა. ნაკაშიძე (რომელიც პეტერბურგში ცხოვრობს) და თავ. ა. გ. გელოვანი (სასამართლოს წევრი).

თავმჯდომარემ მოახსენა საზოგადოებას, ეხლა უნდა არჩეულ იქმნეს თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი; ამისთვის კენჭი უნდა იყაროს ორმა კანდიდატმაო. ამასთანავე აცხადებს, რომ უგანათლებულესმა თავადმა გ. მ. შერვაშიძემ, რომელიც ამას წინად იყო არჩეული ხმის უმეტესობით, უარი განაცხადა კენჭის ყრაზედო. თავ. ივ. გ. აბაშიძე საჭიროდ ნახულობს, ხელახლავ ეთხოვოს უგ. თავ. შერვაშიძეს დაიდგას ყუთი. საზოგადოების უმეტესობა ასახელებს კანდიდატად თავ. დ. ო. ნიჟარაძეს, რომელიც თანხმდება კენჭის ყრაზე. ასახელებენ აგრეთვე თავ. თ. გ. აგიაშვილს და თავ. სვ. დავ. წერეთელს (შორაპნის მაზრის წინამძღოლს). შემდეგ თავმჯდომარე უცხადებს საზოგადოებას, რომ ბ-ნს გუბერნატორს უკანონოდ უცვნია ზოგიერთ პირთა გუშინდელი არჩევნებიო, და ჰკითხულობს ქაღალდს, სადაც ნათქვამია, ქუთაისის მაზრაში წინამძღოლის თანაშემწის ორს კანდიდატს ერთად არ უყარეს კენჭი და ეხლა ხელახლად უნდა ეყაროთო. აგრეთვე ოზურგეთის მაზრაში წინამძღოლის თანაშემწეებად არჩეულთ ი. გ. გოგიტიძეს და ი. მ. ნაკაშიძეს თეთრი კენჭების ერთნაირი რაოდენობა მოუვიდათ და წილი უნდა ჰყარონ, რომელს დარჩეს თანაშემწეობაო.

გუბერნიის წინამძღოლის ადგილზე ასახელებენ ისევ კანდიდატებად თავ. ნიჟარაძესა და თავ. წერეთელს. თავ. კ. დ. ერისთავი, რომელიც იჯერს თავმჯდომარის ადგილს, უდგამს ერთ ყუთს თავ. ნიჟარაძეს. ორ ყუთს უდგამენ ქუთაისის მაზრის წინამძღოლის თანაშემწეების ადგილზე თავ. ნ. კონ. ნიჟარაძეს და თავ. ა. გ. ლორთქიფანიძეს. თავ. დავ. ო. ნიჟარაძემ მიიღო 178 თეთრი და 41 შავი კენჭი. თავ. ნიკოლ. კონსტ. ნიჟარაძემ მიიღო 90 თეთრი და 15 შავი; თავ. ა. გ. ლორთქიფანიძემ 69 თეთრი და 36 შავი. შემდეგ კენჭი უყარეს ცალკე თავ. სვ. დ. წერეთელს, რომელმაც მიიღო 131 თეთრი და 89 შავი. ამგვარად გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზედ არჩეულ იქმნენ თავ. დ. ო. ნიჟარაძე—ქუთაისის მაზრის წინამძღოლი და თავ. სვ. დ. წერეთელი შორაპნის მაზრის წინამძღოლი. ამით გათავდა არჩევნები, მალე მოვიდა ბ-ნი გუბერნატორი და კრება დახურულად გამოაცხადა.

დონ-ვალიანი

შინ და გარედ

47.

სტატს-სეკრეტარი ვიტტე, ფინანთა მინისტრად ყოფნის დროს, ყველა თავის საბიუჯეტო მოხსენებაში სწერდა: თავი და თავი მიზეზი გლეხთა მდგომარეობის დაქვეითებისა, იურიდიულ-საზოგადოებრივ მოუწყობლობის შემდეგ, ის საოცარი უვიცობა არის, რომელიც რუსეთის სოფელში სუფევსო. „იურიდიულ-საზოგადოებრივ მოუწყობლობაზე“ ეხლა ყველა სჯის და სწერს, უმეტესად მას შემდეგ, რაც ერობის წარ-

მომადგენლებმა აღძრეს ამაზე ლაპარაკი „ცენტრის გალატაკების კომისიაში“. სოფლის უვიცობასთან ბრძოლის შესახებ-კი არა ისმის-რა. მართალია, თუ „იურიდიულ-საზოგადოებრივ მოუწყობლობის“ საკითხი სასურველად გადაწყდა, სახალხო განათლების საქმეც თავისდათავად იქნება წინ წამოყენებული, მაგრამ „სანამ პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გააძვრესო“,—სანამ უფლებრივი წესიერება დამყარდება, მანამდის სოფელს უვიცობისაგან ტყავი გაძვრება.

ფული არ არისო, გაიძახიან ყველანი, როცა-კი სახალხო განათლების გაძლიერებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. ცოტაოდნათაც რომ დავაკმაყოფილოთ ამ მხრით მოთხოვნილება-საჭიროება, რამდენიმე ასი მილიონი მანათი უნდა გადაიდოსო და საიდან ვიშოვოთ ეს მილიონებიო? ხალხი, რომელზედაც დამყარებულია სახელმწიფოს მთელი ბიუჯეტი, ისედაც გაღატაკებულია და მეტ ხარჯის გაწევას როგორღა შეიძლებსო?! დაახლოვებით ასე სჯიან ის რუსი-კონსერვატორები, რომელნიც „პრინციპიალურად წინააღმდეგნი არ არიან ხალხის განათლების გაძლიერებისა“ და რომელნიც ამ მხრით ძალიან განსხვავდებიან „მოსკოვ. ვედომ.“-ის და „გრაჟდანინ“-ის რწმენის გაკერპებულ რეაქციონერებისაგან; ამათთვის ხალხი მხოლოდ მეწველი ძროხაა, რომელსაც განათლება აწყენს... თუ ამათ რწმენას არა აქვს არავითარი ფასი, არც მეორე ჯურის კონსერვატორების ზემოდ აღნიშნულ საბუთებს აქვთ ძალა.

მართლაც, საკვირველია მათი მტკიცება—ფული არა გვაქვსო! უმჯობესი და უფრო მართალი იქნება თქვან, ფული არის, მაგრამ სახალხო განათლებაზე ვერ ვიმეტებთ. სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა თითქმის ორ მილიარდ მანეთამდე ავიდა. 1902 წელს სახელმწიფო შემოსავლად და გასავლად აღრიცხული იყო 1.946.571.976 მანათი. ამ დიდ ბიუჯეტიდან მთელ საერო განათლების საქმეზე გადადებული იყო მხოლოდ 36.624.312 მანათი! რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, რა ალაგი უჭირავს ბიუჯეტში საერო განათლების საქმეს, მომყავს აქ 1902 წლის სახელმწიფო გასავლის მთელი აღრიცხვა.

ჩვეულებრივი გასავალი:

სახელმწიფო სესხის ნაწილ-ნაწილ გადახდა. . . .	286.459.713 მ.
სახელმწიფოს უმაღლეს დაწესებულებათა შენახვა . .	3.080.667 მ.
უწმ. სინოდის უწყებას. .	27.954.151 მ.
საიმპერატორო სასახლის სამინისტროს	15.715.243 მ.
გარეშე საქმეთა სამინისტროს.	5.867.350 მ.
სამხედრო სამინისტროს .	322.638.537 მ.
ზღვათა სამინისტროს . .	98.318.984 მ.
ფინანსთა სამინისტროს. .	335.198.430 მ.
მიწათ-მოქმედების სამინისტროს	43.242.831 მ.
შინაგან საქმეთა სამინისტროს	93.187.205 მ.
საერო განათლების სამინისტროს	36.624.312 მ.
გზათა სამინისტროს . .	435.547.758 მ.
იუსტიციის სამინისტროს .	47.392.498 მ.
სახელმწიფო კონტროლის .	7.638.860 მ.
ცხენების მოშენების სახელმწ. უწყებას.	2.046.942 მ.
მოულოდნელ ხარჯებისათვის	15.000.000 მ.

არა ჩვეულებრივი გასავალი:

ციმბირისა და სხვა რკინის გზების გასაყვანად. .	170.658.495 მ.

ამ ცხრილადანაც დაინახავთ, რომ საერო განათლების სამინისტროს თითქმის უკანასკნელი ადგილი უჭირავს ბიუჯეტში. აღსანიშნავია, რომ ბერლინი და ორიოდ სხვა დიდი ქალაქი გერმანიაში უფრო მეტს ხარჯავს ამ საგანზე, ვიდრე ხაზინა მთელ რუსეთზე. საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან კერძოდ სახალხო განათლებაზე სულ მცირედი იხარჯება, იმდენად მცირედი, რომ სახსენებლადაც არ ღირს... ამ მოკლე ცნობებიდანაც დარწმუნდებით, რომ ფული არის, მხოლოდ სხვა საჭიროებისთვის და არა ხალხის განათლებისათვის!

შარშან მთელი რუსეთი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებთან ერთად ღაღადებდა, არ შეიძლება ხალხის ვანათლების საქმის ასე დატოვებაო, მთავრობამაც იწყო ამის გამო ლაპარაკი, მაგრამ ბოლოს არაფერი არ გამოვიდა; პირიქით, საერო განათლების ბიუჯეტს ცოტა რამ მიუმატეს, მაგრამ ისიც საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთათვის, ესე იგი, პრივილეგიურ საზოგადოების სასარგებლოდ და არა ხალხისა, რომელსაც პირველ დაწყებითი სწავლის საჭიროებაც ვერ დაუკმაყოფილებია ჯერ. საინტერესოა ამ მომატების ისტორია.

ლაპარაკი აღძრული იყო სახალხო სკოლის მასწავლებელთა უკიდურესს მდგომარეობაზე. ამის შესახებ ყური ჰქონდა ყველას გამოქედილი და თავი მობეზრებული; ხოლო, თუ კვლავ ამაზე შეიქმნა სჯა-ბაასი, ეგ იმიტომ, რომ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებმა აღძრეს ისევ ძველი იმედები. სამწუხაროდ, ეს ლაპარაკიც ისე დასრულდა, როგორც ბევრი სხვა სასარგებლოდ დაწყებული საქმე; სახელდობრ: სახეში მიიღეს აუტანელი მდგომარეობა... საშუალო, უმაღლესს და საქალაქო სასწავლებელთა მასწავლებლებისა და გადასდეს ფული მათ ჯამაგირების გასაძლიერებლად. წელს, ოქტომბრიდან იანვრამდე, ამ საქმისათვის უნდა დაიხარჯოს 600 ათასი მანეთი, ხოლო მომავალ წელს 2.400.000 მანეთი. ამრიგად, სოფლის მასწავლებელი ისევ რიყეზე დარჩა. ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომელიც ჩვენი გაზეთის „პრესსა“-შიაც იყო ამას წინად მოთხრობილი: უკანასკნელ დროს მრავალი სოფლის მასწავლებელი რუსეთში სტოვებს თურმე სოფელს და ქალაქებში გარბის ნოქრების და გადამწერების ადგილის საძებნელად. ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში უნდა იყოს ხალხის განათლების საქმე იქ, სადაც სოფლის მასწავლებელნი გადამწერელთა ბედს შენატრიან...

რასაკვირველია, ხალხის განათლების საქმის ასეთს ყოფაში დატოვება შეუძლებელია. სახელმწიფოს ძალა, სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომამეობაც-კი, ჩვენს დროში ხალხის კულტურის სიმაღლეზეა დამოკიდებული. ეს შეგნებული აქვს თვით სახელმწიფოსაც, მაგრამ დღემდის უძლურებას იჩენს ამ დიადის საქმის მოწყობაში. მაშასადამე, ისევ „პეტრეს უნდა ვუცადოთ“, უნდა ვიცადოთ, დამთავრდება თუ არა სასურველად „იურიდიულ-უფლებრივი წესწყობილების“ დამყარება.

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ ერთი კვირაა, რაც კრონშტადტში ცეცხლი მძვინვარებს. როგორცა სჩანს, ცეცხლს განგებ აჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკი ზომებია მიღებული ადგილობრივ პოლიციის მიერ, ბოროტ-მომქმედთ მაინც ვერ ჰპოულობენ. („რუსკ. ვედ.“).

◆ რკინის გზათა უმთავრეს სამმართველოსთან დაარსდა კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი რკინის გზების ტელეგრაფისტთა მდგომარეობის შესახებ. აზრად აქვთ: 1) დააწესონ განათლების ცენზი ტელეგრაფისტობის მიღებისათვის; კანდიდატს საქალაქო სასწავლებელი მაინც უნდა ჰქონდეს გათავებული; 2) შემოიღონ 10 საათის სამუშაო დღე; 3) მოუმატონ ჯამაგირი იმისდამიხედვით, თუ რამდენ წელს იმსახურებენ.

◆ რუსეთის ფარმაცევტთა საზოგადოებას აზრად ჰქონია აღძრას შუამდგომლობა, რომ აფთიაქში მოსამსახურეთათვის სამუშაო დღე კანონით იქმნას განსაზღვრული.

◆ როგორც კიევის გაზეთები გვაუწყებენ, 5 დეკემბერს კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის შესავალთან გამოკრული ყოფილა განცხადებები: 1) „მთავრობა ამით აცხადებს, რომ ინსტიტუტი დახურული იქმნება, სანამ მინისტრისაგან არ მოვა განკარგულება. ყოველ გვარ უწესოებას შედეგად მოჰყვება ინსტიტუტის უფრო ხანგრძლივად დახურვა, სრულიად აეკრძალება სტუდენტებს ინსტიტუტის შენობაში შესვლაც და წესიერების დამრღვევნი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი“. მეორე განცხადება: „სტუდენტებს, რომელთაც საქმე არ აქვთ დირექტორთან და ინსპექტორთან, კანცელარიასა ან ბუხჰალტერიაში, არ შეუძლიანთ შემოსვლა ინსტიტუტის შენობაში, სანამ მინისტრის განკარგულებით ინსტიტუტში სწავლა არ დაიწყება“. მესამე განცხადება: „სტუდენტებს აკრძალული აქვთ, კარიდორებში გასცილდნენ დირექტორისა, კანცელარიისა, ინსპექციისა და ბუხჰალტერიის კაბინეტს. ზემო სართულში ასავალი დახურულია“.

◆ „ნოვი კრაი“-ში დაბეჭდილია ნამესტნიკის განკარგულება, რომლის ძალითაც ებრაელებს აეკრძალათ ცხოვრება პორტ-არტურსა და კვანტუნის ნახევარ კუნძულზე.

◆ „ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: ნოვოროსისკში საღამოს 8 საათზე პურის საცხობიდან სახლში მინავალა 12 წლის ქალი. პატარა ქალისთვის მოულოდნელად უტაცნია ხელი პოლიციელს და დაუწყია ჯავრობა: „მე დიდი ხანია გიდარაჯებ, შენ უპასპორტოთ დაეთრევი... პოლიციაში ჩქარა, იქ უნდა დაგატუსაღოო“, და თან ძალ დატანებით წაუყვანია. შეუთრევია ერთს მიყრუებულ ქუჩაში, მიწაზე წაუქცევია, პირზე ხელი დაუფარებია და ძალად გაუუპატიურებია. ეს საზიზღარი მოქმედება პოლიციელს რამდენჯერმე გაუმეორებია და ბოლოს მიუგდია ერთს მიყრუებულ ქუჩაში. აქ ქალი შეხვედრია მეორე პოლიციელს, რომლისთვისაც უამბნია თავის უბედურების ამბავი და უთხოვნია, გზა მასწავლეო. პოლიციელი გაჯავრებია, მოუნდომებია პოლიციაში წაყვანა და, ვინ იცის თურმე, რით გათავდებოდა ეს მეორე შეხვედრაც, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო კაცი ეტლით, რომელიც დაეძებდა ამ ქალს. ქალი პირდაპირ საავადმყოფოში წაუყვანიათ, სადაც დიდის მოვლის შემდეგ ძლივს სიკვდილს გადაურჩენიათ.

◆ 10 დეკემბერს, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის უქვეშევრდომილეს მოხსენების თანახმად, მის უდიდებულესობას კეთილ უნებებია და უბრძანებია: 2 აპრილს 1903 წელს უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილების ვადის გასვლამდე, რომელიც შეეხება ფინლიანდიაში სახელმწიფო წეს-წყობილებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვას, მიეცეს გენერალ-გუბერნატორს უფლება, რომ ადმინისტრაციისა და სამასწავლებლო უწყების მოხელეებისა, აგრეთვე ბურგომისტრებისა და მაგისტრატის რატმანებისა, თავმჯდომარეებისა და მათ თანაშემწეთა, ქალაქის რწმუნებულთა და ქალაქისა და სოფლის სამმართველოებში მოხელეების სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრასთან ერთად მოახდინოს განკარგულება ასეთის პირების დაუყოვნებლივ სამსახურიდან დათხოვნისა და მათთვის ჯამაგირების მოსპობის შესახებ.

◆ ვარშავის უნივერსიტეტის შენობაში გამოკიდული ყოფილი რექტორის მიერ ხელმოწერილი განკარგულება: „მაქვს პატივი გამოვუცხადო ვარშავის საიმპერატორო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომ ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, ამა წლის პირველ დეკემბრიდან მომავალ სააკადემიო წლის მეორე ნახევრის დაწყებამდე მეორედ შეჩერებულია უნივერსიტეტში ლექციების კითხვა და ყოველ-გვარი მეცადინეობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ არეულობებისა გამო გაშვებული ლექციები შევსებულ იქმნას 1904 წლის მაისში.“

◆ ახლად შემუშავებულ კანონით, რომელიც შეეხება დასახიჩრებულ მუშებისა და მათ ოჯახის უზრუნველ-ყოფას, პენსია მუშის ოჯახის წევრებისათვის ამნაირად არის განსაზღვრული: 1) ქვრივთ უნდა ეძლეოდეთ მუდმივად ერთი მესამედი იმ ჯამაგირისა, რასაც მუშა იღებდა; 2) შვილებს ორივ სქესისა: კანონიერს, ნაშვილევს და გვირგვინს გარედ ნაშობს, აგრეთვე გასაზრდელად აყვანილს, თვითოეულს 15 წლამდე $^1/_6$ ჯამაგირისა, თუ რომელიმე მშობელთაგანი ცოცხალია, ხოლო თუ უდედ-მამოა $^1/_4$, 3) ძმებსა და დებს, თუ უდედ-მამოა, $^1/_6$ ჯამაგირისა.

თეატრი

ფოთი. 12 დეკემბერს ადგილობრივ კლუბის დარბაზში ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „უბედური ნაბიჯი“, დრამა 3 მოქ. კარეევისა, თარ. შ. დადიანისა. უმთავრეს ქალის, ვარვარა მიხაილოვნას, როლს ქ-ნი ნ. ჩხეიძე თამაშობდა. იმისმა საუცხოვო თამაშმა საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თვალიდან ცრემლი დააფრქვევინა. ბალავანის როლს ასრულებდა ბ-ნი ვ. გუნია და ბოროდინისას დ. ჩარკვიანი. ვ. გუნიას კარგ თამაშს მეორე ვერ უწყობდა ხელს. ასევე ითქმის ქ-ნ რონელის შესახებ (ბარონესა), რომელიც ვოდევილში ცქვიტი ნატაშა იყო. მოთამაშე[illegible] საზოგადოებამ ქ-ნი ნ. ჩხეიძე და ვ. გუნია მრავალი ტაშის ცემითა და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა. ბოლოს ითამაშეს ბ-ნ აწყურელის მიერ ნათარგმნი „დედის ნებიერი“. საზოგადოებამ ბევრი იცინა.

ი. იანეთელი

სასამართლო

I

ფოსტის გაძარცვა

1902 წელს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ 19 ოქტომბერს თელავის გზატკეცილზე, უჯარმასა და გომბორს შუა, ტფილისიდან თელავში მიმავალ ფოსტას თავს დაეცნენ ბოროტ-განმზრახველნი, მოჰკლეს დარაჯი ერმიშევი, დასჭრეს მძიმედ ფოსტალიონი ჯებეიანცი და წაიღეს 3191 მან. 37 კაპ. როგორც გამოძიებიდანა სჩანს, ფოსტას თავს დასხმიან ავაზაკები უჯარმიდან მეოთხე ვერსზე, სადაც ხიდს ქვეშ გაუკეთებით საფარი. ტფილისიდან გაგზავნილი ფოსტა შესდგებოდა ერთის ჩემოდანისა და ორის ჩანთისაგან, რომელშიაც, სხვათა შორის, ყოფილა 5111 მ,ნ. 78 კაპ., გომბორში გაგზავნილი, 2946 მან. 81 კაპ. თელავში გაგზავნილი. როცა ფოსტა მიუახლოვდა თურმე ხიდს, თხრილიდან ამოძვრა ოთხი ავაზაკი. ავაზაკებს შეუძახნიათ: „შესდექითო“, და მერე ოთხივეს ერთად უსროლიათ ბერდანის თოფები. ერთი ტყვია მოჰხვედრია დარაჯს ერმიშევს და იქვე მოუკლავს. დაჭრილი ფოსტალიონი გადმომხტარა, იმას გადმოჰყოლია კუჩერი უფლისაშვილი, რომელიც სრულიად უვნებელი გადარჩენილა. გაქცეულ უფლისაშვილისა და ფოსტალიონის ჯებეიანცისათვის თოფები უსროლიათ, მაგრამ ტყვია ვერ მოუხვედრებიათ. უფლისაშვილს შეჰხვედრია გომბორის მცხოვრები ტრეუმკინი. რომელიც უკანვე დაუბრუნებია და უჯარმაში მდგომ დარაჯებისთვის შეუტყობინებია, თავს დაგვეცნენო. ამ ხნის განმავლობაში ავაზაკებმა შეაპრეს თურმე ცხენებს თასმები, გადმოყარეს ეტლიდან ჩემოდანი, ჩანთები, დასჭრეს ხანჯლებით ჩემოდანი, გადმოჰქექეს წერილები და წაიღეს 7 პატარა ფულის აბგა, 12 ფულიანი პაკეტი და სხვა ნივთები. ფულად წაიღეს 3191 მან. 37 კაპ., აგრეთვე გაიტაცეს მოკლულ დარაჯის ბერდანკა, ჩექმები და ჩაბალახი ფოსტალიონისა. დანარჩენი ფული 5000 მან. მეტი, რომელიც სხვა ტომარაში ყოფილიყო გახვეული, ავაზაკებს ვერ შეენიშნათ. ვიდრე ავაზაკები ჩაილაგებდნენ ფულსა და ნივთებს, თავს წაადგა თურმე მგზავრი გენჭაშვილი, რომელიც მეორე მხრიდან გომბორიდან მონავალა. ავაზაკებმა გზაში გააჩერეს, შემდეგ შევიდნენ ტყეში ბილიკით და გადაიმალნენ. ეს ბილიკი ადის მთა-გრეხილზე და გადადის მეორე უფრო ფართო სასოფლო გზაზე, რომელიც ახალსოფლისა, გომბორისა, მარტყოფისა, გერაკისა და სხვა სოფლებისაკენ მიდის. უჯარმის სადგურის დარაჯები ნახევარ საათის შემდეგ მოსულან, ხოლო გომბორის დარაჯები 4 საათისა, უჯარმის დარაჯებს თხრილში უნახავთ ნაბადი, ხოლო გომბორის დარაჯებს ბილიკზე გახეული კონვერტები. ბილიკზე შეუმჩნევიათ ქვეითი კაცების ნასიარულევი, მაგრამ ვერ გამოურკვევიათ, რამდენი კაცი ყოფილა. ჯებეიანცისა და უფლისაშვილის სიტყვით, ექვსნი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ოთხი იმათ დაეცა თავს, ხოლო ორი დარაჯად უნდა ყოფილიყო. კუჩერს და ფოსტალიონს ვერ გაუსინჯავთ სახეზე ბოროტ-მომქმედნი. ამათა და გენჭაშვილს ის შეუნიშნავთ მხოლოდ, რომ ბოროტ-განმზრახველნი ახალგაზდა კაცები იყვნენ, ასე 25 წლამდე, გარდა ერთისა, რომელიც 37 წლისა აქმნებოდა, შავ წვერიანი. ბოროტ-განმზრახველნი ნახევრად რუსულად და ნახევრად ქართულად ლაპარაკობდნენ. 21 ოქტომბერს მარტყოფს იქით ტყეში ყოფილან ნახშირის დასაწვავად გლეხები ჩუბინიძე და ადო ებიტაშვილი. იმათ შეუნიშნავთ, რომ გორებიდან ტყეში დაეშვა სირბილით ექვსი თოფხანჯლით შეიარაღებული კაცი. ერთი შუახნისა, შავწვერა, წინ უძღოდა და, ეტყობოდა, ის იყო ბელადი. ჩუბინიძეს უფიქრნია, კაი კაცები არ უნდა იყვნენო, და გაქცეულა. მაგრამ ორი უკან გამოსდევნებია და დაუჭერიათ. უცნობებს ებიტაშვილისა და ჩუბინიძისთვის უთხოვნიათ, პური ეჭმიათ, მაგრამ რადგან მენახშირეებს პური არ აღმოსჩენიათ, უცნობებს დაუნთიათ ცეცხლი, გამოურთმევიათ ფქვილი და შესდგომიან პურის ცხობას. კარგად როცა დანაყრებულან, თან წაუყვანიათ ჩუბინაძე და შესულან ხშირ ტყეში. აქ უფროსს მოუხსნია ნაბადი, შეუხვევია შიგ ხუთი ბერდანა, 4 საწამლე, ხანჯალი, წალები, რუხვი გიმნაზიური პალტო, შემდეგ გამოურთმევია ჩუბინაძისათვის თოკი, შეუკრავს მით ნაბადი და ჩაუმალავს ხის ხმელ ფოთლებში. ამის შემდეგ უცნობები წამოსულან ტფილისისაკენ და თან წამოუყვანიათ ჩუბინიძე. ჩუბინაძეს არა სდომებია ჩამოსვლა, მაგრამ უცნობნი ფულს დაპირებიან თუ იგი ტფილისამდე გამოაცილებდა. ჩუბინიძეს უცნობებთან ერთად ღამე გაუთევია მინდორში, ორხევის სადგურთან. გათენებისას ჩამოსულან ტფილისში და ჩუბინიძეც თან წაუყვანიათ შუა ბაზარში, დავიდოვის დუქანში. აქ მოუთხოვიათ საჭმელები, ღვინო და კარგად რომ შეზარხოშებულან, ჩუბინაძისათვის მოუთხოვიათ, ტფილისში ჩამოეტანა ტყეში დამალული იარაღები. უცნობებს ურჩევიათ, ჩუბინიძეს იარაღი ნახშირის ტომრებში ჩაეწყო, ზედ ნახშირი დაეყარა და ამნაირად მიეტანა ავლაბარში ალაჯანოვის დუქანში. უთქვამთ, თუ შეასრულებ ამ დავალებას, ბევრს ფულს მოგცემთ, თუ არა, მოვალთ შენს სოფელში და მოგკლავთო. რადგან ჩუ-

ჩინიძემ არ იცოდა სად იყო აღაჯანოვის ბაკი, ერთს ჩაუსვამს იგი ეტლში, უჩვენებია ბაკი და შემდეგ გაუშვია მარტყოფისაკენ იარაღის მოსატანად. ჩუბინიძეს იარაღი თავის სახლში გადაუტანია და მეორე დღეს გამოცხადებულა სოფლის მამასახლის თუშმელაშვილის წინაშე, რომლისთვისაც დაწვრილებით უამბნია, რაც თავს გადახდენოდა. მამასახლისი მაშინვე მიმხვდარა, ვინც უნდა ყოფილიყვნენ უცნობნი და ჯერ წერილი გამოუგზავნია და მერე თითონ ჩამოსულა ტფილისში და ყოველივე მაზრის უფროსისთვის უამბნია. მაზრის უფროსს მამასახლისისათვის გაუყოლებია დარაჯები და დაუვალებია ავლაბარში აღაჯანოვის ბაკთან ჩასაფრება იმ უცნობების დასაჭერად, რომელნიც იარაღისათვის მოვიდოდნენ. დარაჯები ორ დასად გაყოფილან და ჩასაფრებულან აღაჯანოვის ეზოში. მისულა ორი უცნობი, მიხეილ იოსების ძე ნაცვლიშვილი და მილორდ ექვთიმეს ძე ღლონტი და უკითხნიათ მარტყოფიდან მენახშირე ხომ არ ჩამოსულა ურმითაო. დარაჯს ალბორაშვილს, რომელიც ევროპიულ ტანისამოსში ყოფილა გამოწყობილი, უკითხავს, რათ გინდათ მენახშირეო, რაზედაც ღლონტსა და ნაცვლიშვილს უპასუხნიათ, უნდა ნახშირი ვიყიდოთო. ალბორაშვილს ნიშანი მიუცია და დარაჯს ორივე შეუპყრია. ამ დროს ბაკში მისულა სანდრო ჩუბინიძეც და როცა დაუნახავს ღლონტი და ნაცვლიშვილი, უთქვამს, ეგენი არიან ორი იმათგანი, რომელნიც მოვიდნენ ჩემთან ტყეში და დასტოვეს თოფები და სხვა იარაღი, ნაბადში გამოხვეულიო. გამოკითხვის დროს ღლონტმა თავის თავი გამოაცხადა აზნაურ გრიგოლ სიმონის ძე ბაბურაშვილად, რის შესამოწმებლად მაზრის უფროსს წარუდგინა უვადო ბილეთი, ოზურგეთის მაზრის უფროსისაგან მიღებული 1895 წელს. ნამდვილი თავისი გვარი ღლონტს მხოლოდ შემდეგ გამოუცხადებია, გამოძიებეს დროს. მოწმეებს ებიტაშვილს და ჩუბინიძეს გამოძიების დროს განუცხადებიათ, ნამდვილად გვახსოვს, რომ ნაცვლიშვილი და ღლონტიც იყო იმ 6 კაცში, რომელთაც ტყეში იარაღი მოგვაბარესო. ჩუბინიძეს ისიც უთქვამს, ალაჯანოვის ბაკში ეტლით ღლონტმა წამიყვანა და მიჩვენა ადგილი, სადაც უნდა მიმეტანა ნახშირიან ტომრებში ჩამალული იარაღი. შუა ბაზარში მედუქნის დავიდოვის მსახურმა ოზიევმაც იცნო ეს ორი ბრალდებული და განაცხადა, ეგენიც ერივნენ იმ 6 კაცში, რომელთაც ჩუბინიძესთან ერთად ისადილეს და ღვინო სვესო. დანარჩენ ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად და შესაპყრობად ტფილისისა და ოზურგეთის მაზრის უფროსებს მიწერ-მოწერა გაუმართავთ. პოლიციის საიდუმლო აგენტების დახმარებით გამოურკვევიათ, რომ ამ ბოროტ-მოქმედებაში მონაწილეობა მიიღეს ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ კოწია სიმონის ძეს ქელიძემ, ისიდორე ზურაბის ძე მახარაძემ და თათარხან ივანეს ძე მამულაიშვილმა. აღნიშნულ მაზრის უფროსებმა გამოარკვიეს აგრეთვე, რომ ღლონტის დაჭერის შემდეგ მისი ძმა სიმონ ღლონტი და ისიდორე მახარაძეს ძმა (ღედით) იესე ქილათაური ჩამოსულიყვნენ ტფილისში და იაგორ ანთაძისა და ახალსოფლის მღვდლის ნიკოლოზ კანდელაკის შუამავლობით სცდილან მოესყიდათ უმთავრესი მოწმენი ებიტაშვილი და ჩუბინიძე. მახარაძე, მამულაიშვილი და ქელიძე დააპატიმრეს. ჩუბინიძემა და ებიტაშვილმა იცნეს იგინი. ჩუბინიძეს ისიც უთქვამს, რომ ქელიძე მეთაურობდა დანარჩენთაო. მამულაიშვილი ის არის, რომელმაც პური გამოაცხოო.

გამოძიების დროს ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ უცვნიათ. მიხეილ ნაცვლიშვილს განუცხადებია, სხვათა შორის, რომ 23 ოქტომბრამდე ტფილისში ვიყავ და აქედან ფეხი არ მომიცვლია, 19 ოქტომბერს ავდექ დილის 7 საათზედ და შინ ვიყავ ნაშუადღევის 2 საათამდე. შემდეგ წაველ თავ. ანდრონიკაშვილთან, სადაც ვნახე ინჟენერი ალხაზოვი. თავ. ანდრონიკაშვილთან იმის შესატყობად მიველ, განთავისუფლდა თუ არა დაპირებული ადგილიო. მილორდ ღლონტმა განაცხადა: 22 ოქტომბრის 5 საათამდე ოზურგეთში ვიყავ ძმასთან, რომელთანაც იქ სადალაქო მაქვს. 19 ოქტომბერს სადალაქოში ვმუშაობდი 12 საათამდე. სხვათა შორის, ამ დღეს ჩემთან თმა გაიკრიჭეს აბაშიძემ, პლატონ პატარაძემ და სხვათ. 22 ოქტომბერს სადგურ ნატანებში ჩავჯექ მატარებელში და წამოველ ტფილისს. აქ 23 ოქტომბერს შემთხვევით შემხვდა ნაცნობი ნაცვლიშვილი; ამასთან ერთად წაველ ავლაბარს აღაჯანოვის ბაკში, სადაც ნაცვლიშვილს რაღაც უნდა ეკითხნა. ამ დროს გამოცვივდნენ ვიღაც კაცები და დაგვაპატიმრესო. ქელიძემ განაცხადა: 15-დან 25 ოქტომბრამდე სოფელ ბახვში ვიყავ. ამის შესამოწმებლად ქელიძემ დაასახელა იოსებ ღოლიძე, იასონ ანდღულაძე, კოწია ფირცხალაძე და სხვ. მახარაძემ განაცხადა: 19 ოქტომბერს, შაბათ დღეს, დილით ადრე მეზობელ იესე ნიკოლაშვილთან ერთად ურმით გავემგზავრე ბახვიდან ქ. ოზურგეთს, სადაც სხვა-და-სხვა საქონელი ვიყიდეთ იესეს დის ქორწილისათვის, რომელიც 20 ოქტომბერს უნდა მომხდარიყო. ოზურგეთში ვნახე მღ. ბარნაბა მახარაძე, დიმიტრი ქინქლაძე და სხვ. დასასრულ მამულაიშვილმა განაცხადა: 14 ოქტომბრიდან 25-მდე ვიმყოფებოდი სოფელ კახურში და ციებით ვიყავ ავად. 19 ოქტომბერს ისე ძალიან გავხდი ავად, რომ ჩავწექ ქვეშსაგებში და 25 ოქტომბრამდე ზეზე აღარ ავმდგარვარ. მამულაიშვილს დაუსახელებია მოწმეები ცინცაძე, ღლონტი, კალაძე და სხვ. რადგან ბრალდებულთა ჩვენებანი საქმის გამოძიებით არ დამტკიცდა, პასუხის გებაში მიეციათ: სიღნაღის მაზრის მცხოვრები მიხეილ ნაცვლიშვილი, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი ისიდორე მახარაძე, თათარხან მამულაიშვილი, კოწია ქელიძე და მილორდ (იგივე შიო) ღლონტი.

ამ საქმის გარჩევა დაიწყო გუშინ, 15 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში, ბ-ნ პადალკოს თავმჯდომარეობით. მიხ ნაცვლიშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი გ. გვაზავა, მ. ღლონტს — ნაფ. ვექ. ვ. ტურკევიჩი, მახარაძეს ბ-ნი რაუპახი და მამულაიშვილს ნაფ. ვექილი ბალდასაროვი. ამ საქმის გამო დაბარებული იყო 160 კაცი. აქედან არ გამოცხადდა 20. სასამართლომ შესაძლებლად დაინახა საქმის გარჩევის დაწყება, რადგან არ გამოცხადებულ მოწმეთა ჩვენებას ბევრი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის. თავმჯდომარემ წაიკითხა საბრალმდებლო ოქმი.

(დასასრული იქნება)

II

13 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე კერძო ვექილის პლიუშჩევსკის მემკვიდრეებისა, რომელნიც აწ გარდაცვალებულ თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის მემკვიდრეებს 99,000 მანეთს ედავებიან. ამას წინად თავ. მუხრან-ბატონის მემკვიდრეთა ვექილის გუნცაძის მოთხოვნილებით დაინიშნენ ექსპერტები, რომელთაც უნდა შეემოწმებინათ ხელთნაწერი თავ. ივ. მუხრან-ბატონისა, ნამდვილი თუ ყალბად შედგენილი ვექილის პლიუშჩევსკის მიერ. 13 დეკემბრის სხდომაზე გამოწვეულმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ჯერ სავსებით არ გამოგვიკვლევია და არ შეგვიდგენია ჩვენი აზრიო. ამიტომ ითხოვეს კიდევ მიეცეთ ვადა 20 ამა დეკემბრამდე. პალატამ შეიწყნარა ექსპესტების თხოვნა.

წვრილი ამბები

ორმოცი დღე უსაჭმლოდ. საოცარ ამბავს გადმოგვცემენ ამერიკელი გაზეთები: კოლუმბიის უნივერსიტეტის ლექტორს ველიგტონ პუტკემს ორმოცი დღე და ღამე გაუძლია ისე, რომ არაფერი უჭამია. პუტკემს თირკმელის ავადმყოფობა ჰქონია და მარხულობით ამ ავადმყოფობის მორჩენა უნდოდა თურმე. პირველ თვეს ეს კაცი კარავში სცხოვრობდა და თითქმის სულ გართული იყო, რომ ჭამაზე არ ეფიქრნა, განუწყვეტლივ მუშაობდა; მთელი თხზულებებიც-კი დასწერა მჭერმეტყველობაზე. პუტკემს უთქვამს, სრულიად მოვრჩი ავადმყოფობისაგანო.

როდის არის ქალი უფრო ლამაზი? ამ კითხვაზე ერთი ინგლისური ჟურნალი ამბობს, რომ ქალი უფრო ლამაზი 36—40 წლებშუა არისო. თავის აზრის დასამტკიცებლად ჟურნალს მაგალითები მოჰყავს ისტორიიდან. კლეოპატრა 30 წლისა იყო, როდესაც ანტონიოსი მოხიბლა. ხოლო ასპაზია 30 წლისა, როდესაც პერიკლოს შეუყვარდა. ანნა ავსტრიელი მთელს ევროპაში ულამაზეს ქალად სცნეს მაშინ, როდესაც 38 წლისა შესრულდა. ქ-ნი რეკამიე ულამაზეს ქალად 40 წლისა იქმნა აღიარებული. ამიტომ, უმატებს ჟურნალი, ტყუილად სწუხან და იგონებენ ხოლმე ახალგაზდობას 30 წელს გადაცილებული ქალები.

ხონთქრის თეატრი. ოსმალეთის ხონთქარს თავის სასახლეში საკუთარი თეატრი აქვს და ჰყავს დასი ოპერისა, ოპერეტისა და ვოდევილისა. თეატრის საქმეები აბარია იტალიელს არტურო სტრაველოს. ყველა არტისტს ფორმა და სამხედრო ჩინი აქვს. მაგალითად, სკრიპკის დამკვრელი ლუიჯი კაპიტანია, ბარიტონი გაეტანო—პოლკოვნიკი, ტენორი ნიკოლა—გენერალი. წარმოდგენებისათვის განსაზღვრული დრო არ არის. მაშინ გაიმართება ხოლმე წარმოდგენა, როცა ხონთქარს მოესურვება. ამიტომ არტისტები, როგორც ჯარის-კაცები, ყოველთვის მზად უნდა იყვნენ. წარმოდგენაზე ხშირად მარტო ხონთქარი აბდულ-ჰამიდია ხოლმე. წარმოდგენის დროს ხონთქარს ზოგჯერ არ მოეწონება რომელიმე არია, ხელს დაუქნევს და არტისტმაც საინტერესო ადგილზე უნდა შესწყვიტოს სიმღერა. ხშირად თავს უყრიან არტისტებს რომელისამე ოპერის, მაგალითად, „ფრადიავოლოს“ შესასრულებლად. არტისტები ემზადებიან, გრიმებს იკეთებენ და იმ დროს მოდის ახალი ბრძანება: „მის უდიდებულესობას ჰსურს „ტრავიატა“ მოისმინოსო“. გავა კიდევ ერთი საათი, ყველანი მოემზადებიან და ამ დროს ახალი ბრძანება მოდის, „ჰუგენოტები“ შეასრულეთო. ასეთ წვალებაში არიან თურმე ხონთქრის არტისტები.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 დეკემბერი

ეკატერინოსლავი. ერობამ დაადგინა, დაიაარსოს სამაზრო მიკროს-ბაქტერიოლოგიური კაბინეტი და გამართონ ბეითალთა კრება.

სემიპალატინსკი. ნება დართეს, გამოსცენ „სემიპალატინსკი ლისტოკი“.

კურსკი. საგუბერნიო საერობო კრება შუამდგომლობს, ნება დართონ ამომრჩეველთა დაყოფას საადგილ-მამულო ცენზისა და არა წოდებათა მიხედვით და მიეცეს ქალებს საარჩევნო კრებებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ასხაბადი. ტურბეტი-ხეიდარიდან (სპარსეთშია) „ზაკასპისკი ობოზრენიე“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ აქ ამ მოკლე დროში ინგლისის საკონსულო დაარსდებაო. ტურბეტში არ არიან ინგლისის ქვეშევრდომნი, რომელთა ინტერესებისთვის საჭირო უნდა იყოს საკონსულოს დაარსება; უკანასკნელი უსათუოდ იმ აზრით არსდება, რომ რუსეთის მოქმედებას თვალ-ყური ადევნონ; ინგლისელებს აზრათ აქვთ აგრეთვე, ამბულატორია დააარსონ, რათა მეტოქეობა გაუწიონ რუსეთის საექიმო ზედამხედველობის სადგურის მოქმედებას, რომელმაც ადგილობრივ მკვიდრთა შორის დიდი თანაგრძნობა მოიპოვა.

პერმი. საგუბერნიო საერობო კრებას დაუდგენია, ვისესხოთ დამზღვევ თამნხიდან 150 ათასი მანეთი სკოლებისათვის ახალ შენობების ასაგებად და 50 ათასი მანეთი არსებულ სასკოლო შენობათა შესაკეთებლად; სკოლას გარედ განათლების საქმეს მოვახმაროთ იმპერატორ ალექსანდრე მესამის სახელობის თანხა 120 ათასი მანეთი და პროცენტი ამ თანხისა 25 ათასი მანეთი ბიბლიოთეკის დაარსებასო.

კოვნო. აქაურმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ განიხილა საადგილ-მამულო ბანკებისაგან გრძელ-ვადიან სესხით სარგებლობის პირობები, სასარგებლოთ ვერ სცნო ის და გადასწყვიტა, მოაწყოს თავისათვის ურთი-ერთ საადგილ-მამულო კრედიტის საზოგადოება მსგავსად პოლონეთსა და კურლიანდიაში არსებულ საერობო საკრედიტო საზოგადოებათა.

ფრანკფურტი. ბაზელსა და მის მიდამოებში ცოტათი მიწა იძრა, რომელმაც 10 წამს გასტანა.

რომი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ცანარდელის დასაფლავება სახელმწიფო ხარჯით მოხდეს და დაკრძალვამდის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში სამგლოვიარო ბაირაღები იქმნას გამოკიდებულიო. როგორც ხმა დადის, ცანარდელს კუჭის კუ ჰქონია.

სტამბოლი. საფრანგეთის მთავრობამ არ შეიწყნარა პორტას თხოვნა იმის შესახებ, რომ მაკედონიის ჟანდარმერიის მთავარ უფროსად ერთ-ერთი ფრანგი ოფიცერი დაინიშნოს.

ვორონეჟი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, სადღესასწაულოდ მოამზადოს მოსიარულე მასწავლებლები საკვირაო სადამოს კურსების შემოსაღებლად.

ადესა. რუსეთის საზოგადოების გემს „აზოვ“-ს დაეჯახა ოსმალეთის კომპანიის გემი „მექქა“ და დაახრჩო. გემი „აზოვი“ რუმელიხისარის მახლობლად ნაპირს გამორიყა. მგზავრები და გემის მოსამსახურეები უვნებლად გადარჩნენ; დასველებულია მხოლოდ ნაწილი საქონლისა.

პარიზი. სენატში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს დელკასემ გამოსთქვა თავისი პოლიტიკური მოსაზრებანი; მან გაამართლა რუსეთი და ავსტრია პორტის საქმეებში ჩარევისათვის, რასაც, დელკასეს აზრით, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობის დაცვა ჰქონდა მიზნად. დელკასემ აღნიშნა ევროპის სახელმწიფოთა ჯგუფებად დაყოფა და სთქვა, რომ არც ერთი იმათგანი ისე არ უახლოვდება ეროვნულ ინტერესების იდეალს, როგორც რუსეთისა და საფრანგეთის კავშირი. ეს თავის დროზე ბისმარკმაც აღიარა. ორატორმა ყურადღება მიაქცია ამ კავშირის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმის გამო, რომ ამ კავშირში თავმოყრილია მხედრობა, ფლოტი და ეროვნული კაპიტალი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველგან **„წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ გამოცემული**

კედლის კალენდარი

1904 წლის. ფასი 70 კაპ.

კალენდარი დასურათებულია.—კალენდარში აღნიშნულია ისტორიული მოვლენანი.—დაბეჭდილია ბიოგრაფიები ქართველ და უცხოეთის მწერალთა და მოღვაწეთა, ცნობები საქართველოს ისტორიისა და მწერლების შესახებ, ცნობები მსოფლიო ისტორიიდან და სხვა მრავალი გამოსადეგი ცნობები.

კალენდარი დიდი ფორმატისაა (როგორც „Кавк. кален.“)

საქართველოს კალენდარი

გამოვა საშობაოთ. (3—უ—2)

დ-რის შინდლერ-ბარნაის

„მარი ნბადის რედუქციური აბები“

წინააღმდეგ

სიმსუქნისა

და საუკეთესო საფაღარათო საშუალება.

ნამდვილი აბები იყიდება მხოლოდ

წითელ კოლოფებში,

რომელშიაც აწყვია დარიგება, თუ როგორ იხმარება ეს წამალი, დაწერილი რუსულად, ფრანგულად და გერმანულად.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და საააფთიაქო მაღაზიებში. (ნ. 26—9)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

LA SURPRISE

(საჩუქარი)

რეინის ოქრო

№ 4711

ახლანდელი მოდის

დუხები

შეუდარებელის, მშვენიერის

და **მაგარის სუნნელებისა**

ფერდ. მიულგენსისა

კელნი რეინზე

იყიდება ყველა კარგ მაღაზიაში.

(ნ. 9—4)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

XV წელიწადი

გამოვა 1904 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდან დაიწყება ბეჭდვა ინგლისელ მწერლის მარკ-ტვენის მოთხრობისა: **ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი.** წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურიგდება პრემიათ დასურათებული ზღაპრების კრებული.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მ. ქალაქ გარეთ 5 მ. ცალკე ნომერი 50 კ.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. грузинск. дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა**

(შ. 3—3)

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის

ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

XXI წ. „მწყემს“-ზე XXI წ.

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“	3 მ.	6 თვით „მწყემსი“	2 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით —	4 მ.	— „ რუსული „	2 „
— „ რუსული „	3 მ.	— „ ორივე გამოცემა	3 „
ორივე გამოცემა	5 მ.		

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში**, რედაქციაში; **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, **ტფილისში** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის სასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-დასხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

(შ. 3—1)

[illegible] (Электропеч. Груз. Издат. Т—ва